№ 528. პარასკევი, 8 მაისი. 1896—1898 პარასკევი, 8 მაისი, **№ 528**

სტამბა და რედაქცია:
ტფილისი, სასახლის ქუჩა, სათავად-აზნაურო ქარვასლა.
ხელის-მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიმართვენ რედაქციას დილის 10 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე და „წერა-კითხვის გამ. საზოგადოების“ წიგნის მაღაზიას.
ხელმოუწერავ წერილებს რედაქცია არ ჰბეჭდავს.
პირის-პირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველ-დღე.
ტელეფონი № 363.

ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური სახალხო გამოცემა

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ნახევარის წლით 4 მან
თითო ნომერი 3 კაპეიკი
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 10 კ.
მეოთხეზე 4 კაპ.

Типографія и Редакція
„ЦНОБИСЪ ПУРЦЕЛИ“
Тифлисъ, Дворцовая д. Дворянства
Телефонъ № 363.

ქართული თეატრი
კვირას, 10 მაისს,
ქართული სცენის-მოყვარეთაგან წარმოდგენილი იქნება
ყარამანი
ფეერია 3 მოქმედ. და 11 სურათად ვ. აღნიაშვილისა.
ადგილების ფასი დაკლებულია
დასაწყისი სწორედ $8^{1}/_{2}$ საათზედ
ბილეთები არავის არ გაეგზავნება. (5—3)

შპალერების საწყობი
ი. გ. მელიქიშვილისა
ტფილისი, სასახლის ქ. სათავ.-აზნ. სახლი № 102
ყოველთვის იშოვება მრავალი ხარისხის შპალერი
ფასი ყველაფერზე იაფია
შპალერი თვითო ნაჭერი **8** კაპ. მოყოლებული 20 მანათამდე
ოთახ-დარბაზების მოსართავი და გასწყობი სამკაულები.

Депо обоевъ
I. Г. МЕЛИКОВА
Тифлисъ, Дворцовая ул., д. Грузинскаго Дворянства (бывш. Арцруни)
№ 102, около муз. магаз. ЛАНКО. (100 3)

„ბავშვების მოკეთის“
შესახებ.

აუარებელი გამამხნევებელი წერილები მშობლებისა და მასწავლებლებისა და მარჯვედ ყიდვა ამ წიგნისა მაიძულებენ მეორე გამოცემა დავიწყო და ვსთხოვ ყველას, ვისაც-კი გული ერჯის სამშობლო საყმაწვილო ლიტერატურისათვის, მომაწოდონ თავიანთი შთაბეჭდილებანი და შენიშვნები ამ წიგნის შესახებ. - ყველა შენიშვნას სულითა და გულით მივეგებები. მიწერ-მოწერა შეიძლება ან ჩემს სახელობაზე სათავად-აზნაურო სკოლაში, ან „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში.

წიგნი „ბავშვების მოკეთე“ მოწონებული და სახელმძღვანელოთ დადებულია მთავრობის მიერ.

ეს წიგნი იყიდება ყველა წიგნის მაღაზიებში. სოფლის მასწავლებლებს იაფად დაეთმობათ, ე. ი. უყდო 20 კაპ., ყდიანი 25 კაპ., თუ პირდაპირ ჩვენგან გამოიწერავენ.

ადრესი: Тифлисъ. Типографія Хеладзе, для передачи учителю Натадзе.

(50—10) პატივისცემით ალ. ნათაძე.

წიგნის მაღაზია
მიხეილ გაჩეჩილაძისა
(იგივე „**გლეხის**“ ამხანაგობისა)

ვაუწყებთ პატივცემულ საზოგადოებას, რომ ჩვენ გავხსენით **დ. ყვირილაში**, ჩუბინიძის სახლში

წიგნების და საკანცელარიო ნივთეულობის მაღაზია

მაღაზიაში გვაქვს ყოველ-გვარი ქართული გამოცემანი და სახელმძღვანელოები. ვკისრულობთ აგრეთვე სხვა-და-სხვა წიგნების გამოწერას. ვიღებთ წიგნებს საკომისიოდ გასაყიდათ და აგრეთვე ვაძლევთ ჩვენც ჩვენს გამოცემებს.

მაღაზიასთან გახსნილი გვაქვს **წიგნების საკაზმავი სახელოსნო**, სადაც მზადდება წიგნები სუფთად, იაფად და სწრაფად.

სოფლის მასწავლებლებს სახელმძღვანელო წიგნები, რვეულები და სხ. დაეთმობათ ძლიერ დაკლებულ ფასად.

მსურველს შეუძლია მოგვმართოს შემდეგის ადრესით:

Квирилы. Книжный магазинъ М. Гачечиладзе. (10—6)

გამოვიდა საყმაწვილო წიგნი
პატარა ლორდი
„ჯეჯილის“ რედაქციის გამოცემა
თარგ. ელ. წერეთლისა
ფასი **30** კაპ.
იყიდება „წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში და თვით „ჯეჯილის“ რედაქციაში. (10—4)

ფოტოგრაფია
ალექსანდრე როინაშვილისა
ყიდულობს
ძველ ნივთებს და საგნებს—რკინისას, თუჯისას, ბრინჯაოსას, ვერცხლისას, ოქროსას, თიხისას, ქვისას, ფაიფურისას, ძვლისას და რქისას.
ხელ-საქმეს ძველებურის ხელობისას, ნაქსოვ-ნაქარგს და სხვა.
სამკაულს სხვა-და-სხვას ძველ დროინდელს—ძველს ფულებს და იარაღებს
მსურველთ მიჰმართონ ყოველ-დღე ერევნის მოედანზე საკუთარს ფოტოგრაფიაში
იქვე შეიძლება
სურათების გადაღება
იაფად, სწრაფად და ხელოვნურად.
Фотографія **А. С. Роинова**
тамъ-же
Коллекція древностей
Тифлисъ, Эриванская пл. д. Харазовой
(100—1)

სამკურნალო და ამბულატორია
ს. გ. თოფურიასი
ქუთაისში.
სამკურნალოში 50 საწოლია ავადმყოფთათვის. მიიღებიან ავადმყოფნი: **შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი.**
გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან:
ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე. შინაგან და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს **ს. გ. თოფურია**. საქირურგიო ავადმყოფობას და სიფილისს **ფ. კ. გერრატი**.
დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი **მ. თ. კოგანი.**
20 მაისიდამ—დედათა ავადმყოფობის და აკუშერობის D-r **ფ. გაცეიჩი.**
თვალების ავადმყოფობას—**ი. ძ. ვარშავსკი.**
ამბულატორიაში არის კაბინეტი, საექიმო და საბაქტერიოლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისათვისა და საჟისთვის.
სამკურნალო დირექტორი **ს. გ. თოფურია.**
Лѣчебница С. В. Топурія въ Кутаисѣ.

წლიური
საზოგადო კრება
„ქართველ ქალთა ამხანაგობის“
წევრთა
დანიშნულია 9 მაისს, დილის 11 საათზე, ამხანაგობის სახელოსნო სკოლის სადგომში, ბარიათინსკის ქუჩაზე, ფედოროვის სახლი № 19.
განსახილველია შემდეგი საგნები:
1) წლიური ანგარიში ამხანაგობის გამგეობის მოქმედებისა 1897 წელს.
2) მოხსენება სარევიზიო კომისიისა.
3) მოხსენება გამგეობისა სახელოსნო სკოლის გაუმჯობესების შესახებ.
4) სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვა მომავალ 1898 წლისა.
5) მოხსენება ალებ-მიცემობის შესახებ.
6) გამგეობის ოთხის წევრის არჩევა. (6—4)

განიხვრა და დაფასება
ტყიან მამულებისა
დაფასება სამეურნეო შემოსავლისა
მამულის გეგმის შედგენას და სხ.
კისრულობს ალექსი გრიგოლის მე **სნეჟკოვი**, ლაბორატორიის ქუჩა № 26.
Алексѣй Григорiевичъ Снѣжковъ, Лабораторная, № 26. (50—11)

გამოვიდა და იყიდება
ქალაქის ყველა მაღაზიებში და ეკკლესიებშიაც
ცხოვრება
წმინდისა დიდისა მოწამისა
ევსტატისა
და სახლეულთა მისთა
(სურათით)
გამოცემა მორჩილის **რ. ბარამიძისა**
ფასი ერთი შაური (10—6)

ახალი ამბავი

* * * **ოდესის ქართველ მუშათა წვლილი.** როგორც მკითხველები დღევანდელი ნომრიდან დაინახავენ, ქართველ მუშებს ოდესაში გამოუღიათ შეძლებისა-და გვარად თავიანთი წვლილი ქართული მუზეუმის თანხის მისამატებლად.

აღვნიშნავთ-რა სიამოვნებით ამ გარემოებას, არ შეგვიძლიან მადლობით და ქებით არ მოვიხსენიოთ ოდესის ქართველ მუშათა საქციელი, რომელიც მოწმობს მათს გრძნობასა და გონების განვითარებას. სასურველია, რომ სხვა ჩვენებური მუშებიც მიჰბაძავდნენ ოდესის ქართველ მუშების პატივსაცემ მაგალითს.

* * * **ბრალდება გლეხების საქმე.** ნაფ. ვექ. კარაბეგოვს განზრახვა აქვს განასაჩივროს სამოსამართლო პალატის განაჩენი თავ. დიასამიძის მოკვლის თაობაზე.

* * * **მამის მოკვლა.** სოფ. დურიფშის მცხოვრებს, დოუთ გუპაზს რევოლვერით მოუკლავს თავისი მამა, ხანაშვა. მამის მკვლელი გაუგზავნიათ სოხუმის სატუსაღოში.

* * * **სოხუმის საერო დარაჯთა შეაარაღება.** ქუთაისის საგუბერნიო ადმინისტრაციას შუამდგომლობა აღუძრავს იმის შესახებ, რომ მიეცეს მას 110 ბერდანის თოფი სოხუმის საერო დარაჯთა შესაიარაღებლად.

* * * **გირავნობის ფურცლებით სესხის გაცემა სათავად-აზნაურო ბანკიდან.** ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის შუამდგომლობაზე, რომლის გასატარებლად გაგზავნილი იყო პეტერბურგს ბანკის გამგეობის წევრი გენ.-მ. მამაცაშვილი, მიიღო ბანკმა განსაკუთრებულ საკრედიტო კანცელარიიდან ოფიციალური ცნობა, რომლითაც ბანკს ეუწყება, რომ ფინანსთა სამინისტროს მხრივ არავითარი დაბრკოლება არ არსებობს იმის წინააღმდეგ, რომ ბანკს უფლება ჰქონდეს გასცეს ხოლმე სესხი $4^{1}/_{2}$%-იანი გირავნობის ფურცლებით, რის განსახორციელებლად ბანკმა უნდა აღძრას შუამდგომლობა წესდების ყველა იმ მუხლების შეცვლის შესახებ, რომლებშიაც აღნიშნულია სესხის ვადა და პროცენტების სიდიდე გირავნობის ფურცლებით, და ყველა ამ მუხლების შეცვლის პროექტი მან უნდა წარუდგინოს დასამტკიცებლად ფინანსთა სამინისტროს. ამასთან წესდებაში $4^{1}/_{2}$%-იან გირავნობის ფურცლებისა და სესხის შესახები პირობების აღნიშვნასთან ერთად უნდა გამოირიცხოს წესდებიდან პირობები 6%-იან ფურცლებისა და სესხის შესახებ. რაც შეეხება ქალაქის ქონებიდან წმინდა შემოსავლის აღრიცხვის წესრიგის შეცვლას, სამინისტროს მხრივ არ არის არავითარი დაბრ-

ვენ ლება იმის წინაღმდეგ, რომ ს შემოსავალი ისაზღვრებოდეს მთელი შემოსავლიდან. ქონებისათვის საჭირო ხარჯების (ქვის სახლებისათვის 20%-ისა და ხის სახლებისათვის 30%-ის) გამორიცხვის შემწეობით.

⁂ **ქალიშვილის დაკარგვა.** 20 აპრილს, საღამოს 8 საათზე, სადღაც დაიკარგა სახლიდან 10 წლის ქალი მაგდალინა მუხინიძე, რომელიც აყვანილი ჰყავდა აღსაზრდელად მის ღვიძლ ბიძას, მე-7 განყოფილების, გლუხოის ქუჩის საკუთარ სახლში მცხოვრებს, ტფილისის მეშჩანინს სოლომონ სარდიონიშვილს. თუმცა ამ უკანასკნელმა მაშინვე წერილობით განუცხადა პოლიცმეისტრის გამგეობას თავისი ძმისწულის დაკარგვა, მაგრამ ბავშვი ჯერ არსად აღმოჩენილა.

⁂ **სახელოსნო სკოლები მონასტრებთან.** სასულიერო უწყებას აღუძრავს კითხვა ზოგიერთ მონასტრებთან სახელოსნო სკოლების დაარსების შესახებ, რომლებშიაც სასულიერო სასწავლებლებიდან გამორიცხულ ყმაწვილებს უნდა შეეძლოთ მეჩექმეობისა, მჭედლობისა, დურგლობისა და შესამოსელის კერვის შესწავლა.

⁂ **ქართული წარმოდგენების ჩარჩები.** სახალხო წარმოდგენებს (ავჭალის ქუჩაზედ.) აუარებელი ხალხი აწყდება ხოლმე და ისიც სულ მუშა ხალხი, და ყოველთვის ალაგის უქონლობის გამო ბევრნი უკან ბრუნდებიან; ამის და მიუხედავათ აქ გაჩენილან ჩარჩი მოვაჭრეები და რაკი იციან, რომ, მსურველნი ბევრნი არიან ყიდულობენ, წინათვე ბილეთებს და როცა კასაში გამოილევა, ერთი ორათ ჰყიდიან. კარგს იზამდა „სახალხო წარმოდგენების გამმართველი გამგეობა“ ამ გარემოებას ყურადღებას მიაქცევდეს, და ეს ჩარჩი ვაჟბატონები აელაგმა.

ამისთანავე ამბები არა ერთხელ და ორხელ გამეორებულა ქართულ დიდ თეატრში, ნამეტნავათ „სამშობლოს“ და „და-ძმის“ თამაშობის დროს.

⁂ **ქალაქის წოდებათა შეერთება.** შინაგან საქმეთა სამინისტროს უკვე აღუნიშნავს უმთავრესი საფუძვლები ქალაქის წოდებათა ცვლილებისა. განზრახულია შეერთებულ იქმნეს ერთ „ქალაქის წოდებათ“ სამი წოდება: მეშჩანთა, ხელოსანთა და ვაჭართა, და ამ შეერთებულ წოდების გამგეობა დაექვემდებაროს ქალაქის საზოგადო მმართველობას (ქალაქის საბჭოს და გამგეობას). ხელოსნებს ნება ექნებათ შეერთდნენ სახელოსნო საზოგადოებაში, რომლებიც ამქრებად იქმნებიან დაყოფილნი, მაგრამ ამ საზოგადოებათა და ამქრების მოქმედების ასპარეზი შემოფარგლული იქმნება სახელოსნო მრეწველობის განვითარებისათვის მზრუნველობით.

⁂ **მეფუტკრეთა კრება კავკასიაში.** კავკასიაში მეფუტკრეთა კრების გასამართავად, რომელიც სექტემბრისათვის არის დანიშნული ტფილისსა, ეკატერინოდარსა და კავკავში, მიწად-მოქმედების სამინისტროს გადაუდვია მეფუტკრეთა საზოგადოებისათვის 700 მან. ამავე კრებაზე დასასწრებათ, საზოგადოების თხოვნით, დანიშნულნი არიან ქიმიის პროფესორი ი. ა. კაბლუკოვი და პრივ. დოც. გ. ა. კოჟევნიკოვი. საზოგადოების სასარგებლო მოქმედების გასაძლიერებლად და მისი გამოცემების ციმბირის რკინის გზაზე და იმპერიის სასოფლო სკოლებში დასარიგებლათ შეუწირავთ: საზოგადოების მფარველს დიდ მთავარს გიორგი მიხეილის-ძეს 700 მან. და საპატიო წევრს ვ. ა. რატკოვ-როჟნოვს 450 მ.; ბ.ბ. რედკოს, ალფეროვს და ნიკიფოროვს შეუწირავთ ფუტკრებიანი სკები პეტერბურგში სამოსწავლო საფუტკრისა და მეფუტკრეობის კურსების გასამართავად.

⁂ **უწესო მეხილე.** გოლოვინის პროსპექტზე, კრუჟოკის მახლობლად, ერთი მეხილე ძალიან უწესო სიტყვებს ხმარობს და უწესოდ იქცევა. ჩხუბსაც არ ერიდება გამვლელ-გამომვლელებთან. რატომ ყურადღებას არ აქცევს, ვისიც ჯერ არს?!

⁂ **უდანაშაულოდ დასჯილი.** ბ. რედაქტორო! გთხოვთ უმორჩილესად გამომიყვანოთ ასეთ უკიდურეს მდგომარეობიდან. „ცნობის ფურცლის“ 504 №-ში დაისტამბა უსახელო წერილი ლანჩხუთში ერთი მანდილოსნის შესახებ. ეს წერილი რამდენად მართალია, იმას არ ვეხები, მხოლოდ მე სრულიად მართალი პირი შესახებ ამ წერილისა ვიტანჯვი,, ბრალს მდებენ, ვითომ მე ვიყო ამ წერილის დამწერი, როდესაც სრულიად არ გამომიგზავნია მაგვარი წერილი, ვინც ეს წერილი თავისს თავზე მიიღო, თვითონ იმ პირმა მითხრა (რამდენად მართალია, არ ვიცი), ვითომ ქალაქში (ტფილისში) ყოფილა, უკითხავს და შეუტყვია, რომ ვითომ ჩემი გაგზავნილი და ხელ-მოწერილიც იყოს. თუმცა ეს უბრალო საბუთებია, მაგრამ მე მაინც ეჭვში შევედი—ეგებ ვინმემ მტერობით გაგზავნა და ჩემი სახელი და გვარი ზედ მოაწერა. ვითხოვ, ბ-ნო რედაქტორო, თქვენგან სრულს ცნობას თქვენის გაზეთის მახლობელ ნომერში, მით უმეტეს, რომ ათას რასმეს ჩმახვენ და ჩემს ზიანს ცდილობენ. *)

ანტონ კაციას ძე ელენტი

⁂ **ქართველ ფარმაცევტებში შეგროვილი ფული.** ბატონო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ თქვენს პატივცემულ გაზეთ „ცნობის ფურცელში“ ადგილი დაუთმოთ შემდეგს წერილს.

შარშან-წინ, 1896 წ. როცა ქართველობას ჰქონდა ბედნიერება ედღესასწაულნა 50 წლის დაუღალავი მოღვაწეობა ჩვენის მხცოვანის მგოსნის თ. რაფაელ ერისთავისა, ამ საერო სასურველ დღესასწაულ-მეჯლისში განვიზრახეთ შეძლებისამებრ მხურვალე მონაწილეობა მიგვეღო მთელ ქართველ ფარმაცევტებს, რაისთვის გარდავწყვიტეთ მოგვეგროვებია ჩვენ-შორის ფული; გვეყიდნა გვირგვინი და წარმომადგენელის ხელით მიგვეძღვნა დიდად საყვარელ მგოსნისათვის ემბლემად, იმ უსაზღვრო პატივის ცემისა, რომელსაც მისდამი ვგრძნობდით, შემდეგ ხარჯისა, რაც ფული დაგვრჩებოდა, ის უნდა გაგვეგზავნა თ. რაფაელის „ფონდის“ მისამატებლად ასეც მოვიქეცით. შევაგროვეთ 62 მანეთი ფული. გვირგვინი ვიყიდეთ 23 მანეთად, ტანისამოსის დასაქირავებლად წარმომადგენელისათვის და უკანასკნელის საიუბილეო ვახშამზე დასასწრებლდ დაგვეხარჯა 9 მანეთი და 50 კ. ადრესის ქაღალდი დაგვიჯდა 2 მანეთი, სულ ხარჯი იყო 34 მან. 50 კაპ. დანარჩენი ფული ე. ი. 27 მან. და 50 კ. თანახმად ჩვენის გარდაწყვეტილებისა, უნდა გარდაგვეცა თ. რაფაელის ფონდის შესაერთებლად მაგრამ ამ დროს ერთი ჩვენი ამხანაგთაგანი აღმოჩნდა ისეთ უკიდურეს მდგომარეობაში ნივთიერად, რომ იძულებული შევიქენით ეს ფული გვესესხებია გაჭირვებულ ამხანაგისათვის, იმ პირობით, რომ რაც შეეძლებოდა მალე დაებრუნებია სესხი, რომ ფული გარდაგვეცა დანიშნულებისამებრ, მაგრამ სამწუხაროდ მას შემდეგ კარგა ხანი გავიდა და ჩვენმა ამხანაგმა დაივიწყა ჩვენი სიკეთეც, თავისი მოვალეობაც ჩვენსა და საზოგადოების წინაშე და ფული აღარ დაგვიბრუნა არც ადრე და არც გვიან! ასრე გაიმრუდა იმან პირი და ლამის ჩვენც კი პირშავად გამოგვიყვანოს საზოგადოების წინაშე.

ერთის მხრით გულის ტკივილი საზოგადო საქმისადმი, რომელსაც ეს დაპირებული ჩვენ-მიერ პატარა წვლილიც ცოტათი მაინც გამოადგება და მეორე მხრით სურვილი, რომ ჩვენი პირმრუდე ამხანაგის დაუდევრობას ცუდი შედეგი მოუსპო (საზოგადოებისათვის) და მისი უსაქციელობა გამოვისყიდო საკუთარის სიყვარულით, მაიძულებს, ამხანაგის მაგივრად, თუ-კი მას არ შერცხვება, მე შევრიცხო ჩემი თავი მოვალედ არ დავიშურო ხარჯი და საკუთარის ჯიბიდან შემოვიტანო ზემოხსენებული ფული. ამასთანავე გახლებთ ფულს 27 მან. და 50 კ. და უმორჩილესად გთხოვთ, ბ. რედაქტორო, გარდასცეთ დანიშნულებისამებრ. *)

ვანო კვალიაშვილი

⁂ **ს. ოყურეში** (სამეგრელო). **სავაჭრო მდგომარეობა.** სოფელი ოყურეში არის ერთი იმ სოფლებთაგანი, რომელიც იძლევა კარგს, ნაქებს და უღებავ „მანდართოს“ ღვინოს. ფერად შავი და გემოთი ტკბილია. ეს ღვინო ჩვენს მხარეს განთქმულია და ფასიც რიგიანი აძევს, საპალნე (10 ფუთი) ღირს 30—50 მანეთამდის. ოყურეშლები საზოგადო შრომის მოყვარენი არიან, ადგილიც მოსავლიანია და ყოველ პარასკევს დ. ხონში დადიან სავაჭროდ, ყიდიან პურს, ღვინოს, ვაშლებს და სხვა. მაგრამ მდ. ცხენის წყალზე გაკეთებული ხიდი ამ ჟამად ჩაინგრა და ოყურეშლები ვერ ახერხებენ ხონში ჩასვლას, რაიცა დიდს ზარალს მისცემს. საჭიროა შემწეობა აღმოუჩინონ, ვისიც ჯერ არს.

აქვე ჰქონდათ სკოლის შენობა, რომელიც გადაიწვა და ახლა სკოლა მოთავსებულია ძალიან უხერხულ შენობაში.

გან-თანი

⁂ **დ. ახალ-სენაკი. ცრუ-მორწმუნეობა.** ახალ-სენაკის დუქნებში დაბინავებულია ერთი თათრის მზგავსი კაცი, რომელსაც მკითხავის სახელი ჰქონია განთქმული და ვინ იცის საიდან არ მოდიან მასთან სარჩევათ. აი ნიმუში იმის მკითხაობისა. ერთს შემთხვევას მე თვითონ დავესწარი, ასე უთხრა: შენი სახლის უკან ერთი მაღალი ხე დგას, იმ ხეზე წმინდანიანი ჯდება და ის დაუნახავს ღამე შენს ავადმყოფს და შეუშინებია, თუ ის ხე არ მოსჭერი, კიდევ ნახავს იმ ხეზე წმინდანიანს და შემდეგ არ მორჩებაო. საკვირველია, როგორ ვერ გამოუძევებიათ ამ დაბიდამ საწყალი და უმეცარი ხალხის მძარცვავი მკითხავი? არც ჩვენი ბულვარის გაკეთებას და სამკითხველოს დაარსებას მოეღო ბოლო. სალათას ძილს მისცემიან აქაურები.

გან-თანი

⁂ **დ. ოჩამჩირე. სამღვდელოებათა კრება.** 1 მაისს ოჩამჩირეში სამღვდელოებათ კრება ჰქონდათ აფხაზეთში ქრისტიანობის დაცემის წინააღმდეგი ზომების მიღებისა და მათი გაჭირვებულ მდგომარეობათა შესახებ.

— **სიმინდის გაძვირება.** სიმინდის ფასმა შესამჩნევად აიწია და მშრომელი ხალხის სიხარულს საზღვარი არა აქვს. დღეს ფუთი 57 კაპ. იყიდება.

— **ამინდი.** მაისი უკვე დადგა და ჯერ კიდევ ცივი დღეებია. წრევანდელ ყინვებს მთლად ამოუხმია ზოგიერთ ხილის ხეები მასთან ზოგან ვაზებაც.

— **ყვავილი** გაჩნდა, მაგრამ ჯერ არავინ უმსხვერპლია.

— **ამხანაგობა.** ოჩამჩირელებს განზრახვა აქვთ ერთმანეთის მტრობას თავი ანებონ, შეადგინონ ამხანაგობა, რომელსაც აზრად ექმნება სიმინდის წარმოება და ამით აიცილონ, რომელიმე მატროსების ბატონობა. გამარჯვებას ვუსურვებთ.

ხორშელი

⁂ **ჭალადიდი. პანაშვიდი ჭალადიდელზე.** კვირას, 26 აპრილს, ს. ჭალადიდში მღვდელმა რომანოზ ლვამიჩავამ გადიხადა პანაშვიდი ჩვენი ძვირფასი მწერლის ჭალადიდელის სულის მოსახსენებლად. ხალხი პანაშვიდს საკმაოდ დაესწრო. პანაშვიდის შემდეგ მამა ლვამიჩავამ მოკლე სიტყვით აუხსნა ხალხს, თუ ვინ იყო ჭალადიდელი (გიორგი ქოჩაქიძე). აი ეს სიტყვაც:

„იგი, ვინც აწერდა თავის ჭკუის და ნიჭის ნაწარმოებს „ჭალადიდელს“ და ამ სახელით მთელი საქართველო იცნობდა, ვითარცა მამულის ერთგულს, ფრიად განათლებულს, დიდებული ნიჭის პატრონს. დიდ სულოვან მოღვაწედ და ჩვენი ხალხის ჭირ-ვარამის გამომთქმელს, ეს ჭალადიდელი იყო აი ამ ჩვენს ჭალადიდში დაბადებული, თავ. მაქსიმე ქოჩაქიძის შვილი გიორგი. 3 აპრილიდან ყველა გაზეთში შევხვდებით გლოვას და ტირილს სიმწუხარით იმ ადამიანზე, რომლითაც ჩვენი ქვეყანა ამაყობდა. ბავშმაც-კი იცის, თუ ვინ იყო ჭალადიდელი, რადგანაც სკოლაში შესვლისთანავე დააწყებინებენ თუ არა „ბუნების კარის“ კითხვას, ჭალადიდელის ლექსი „მახსოვს პირველად“ პირველადვე უნდა ისწავლოს. ჩვენ-კი, ჩვენ, რომელნიც ყველაზედ უფრო მეტად უნდა ვგლოვობდეთ და ვსტიროდეთ იმისს დაკარგვას, ხმაც კი არავის გაუგონია ჩვენი. ვიცით თუ არა, რა უბედურება მოგვივიდა! აი კიდეც მიტომ აჟღერებდა დიდებული პოეტი თავის ჩანგს, გულ-საკლავ და სამგლოვიარო ზარის ხმით, რომ ჩვენ ჩამორჩენილი ვართ ყოველისფერში და მიტომ გვმართებს შრომა და მეცადინეობა, რათა ხსენება ჩვენი არ იქმნას აღგვილი დედა-მიწის ზურგზედა. საუკუნო იყოს ხსენება თავ. გიორგი ჭალადიდელისა“.

ნატო

⁂ **ს. ღები** (რაჭა). **ოსის ხრიკები.** ჩვენს სოფელს შარშან საშობაოდ ეწვია ტყის დარაჯი, ვიღაც ოსი, რომელიც თავის თავს მართველისაგან დამტკიცებულს უწოდებდა. მან აქ გაიჩინა თითქმის ყოველ ოჯახში ნათლი დედები, დობილები და ყველას ისე მოაწონა თავი, რომ ხალხი აღტაცებით გიძახოდა: ამისთანა მშვენიერი კაცი ჩვენს დღეში არ შეგხვედრიაო. ამ მშვენიერმა კაცმა გაავრცელა ხმები, რომ იგი მართველთან ისე დადის, როგორც თავის ახლო ნათესავთან და რომ თუ ვისმეს სურს ტყის დარაჯად თავის დანიშვნა, უნდა წარუდგინოს მას (ოსს) შვიდი თუმანი. ბევრმა დაუჯერა მას და საჩუქრათ გაფხეკილ ჯიბეში ორმოც და ათი თუმანი ჩაუდაგეს. მას აქეთ აგერ ორი თვე გადის, ის დღეა და ეს, იმ ოსის ასავალ-დასავალი ვერავის გაუგია.

პრომეთე

⁂ **ს. აცანა** (გურია). **ბიბლიოთეკის დაარსება.** ძლივს აგვისრულდა აცანლებს დიდი ხნის მოლოდინი: როგორც იქმნა მივიღეთ ნება-რთვა წიგნთ-საცავ სამკითხველოს დაარსებაზე. სწორედ ოთხი წელიწადია, რაც ნება-რთვას ვთხოულობთ და დღემდის არა ეშველარა. საზოგადოებამ დიდად თანაუგრძნო ამ კეთილ საქმეს და სურს როგორმე საქმე სასურველ ნიადაგზე დააყენოს, მაგრამ, საუბედუროდ, შარშანდელმა მოუსავლობამ, წყალდიდობამ და დიდ-თოვლობამ ისე დააქვეითა მატერიალურად აქაურები, რომ უკანასკნელი ცოლშვილის საკვები სიმინდიც საყიდელი გაუხდათ. ბ-ნო რედაქტორო, ნება მიბოძეთ, ისევ თქვენი პატივცემული გაზეთის საშუალებით მივმართო უმორჩილესი თხო-

---

*) რედაქცია ამით ამოწმებს, რომ ბ-ნ ელენტს არავითარი ცნობა არ მოუწოდებია ლანჩხუთელ ქალზე და არც სხვას ვისმეს მოუწერია ბ-ნ ელენტის სახელით ამგვარი ცნობა. რედაქტ.

*) ფული გადაეცა წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მდივანს ბ-ნ დ. კარიჭაშვილს თავ. რაფიელ ერისთავის ფონდის მისამატებლად. რედაქტ.

ვნით ქველ-მომქმედ და გულ-შემტკივარ ქართველობას კეთილ ინებონ, აღმოუჩინონ შემწეობა და მოაწოდონ თითო ოროლა წიგნაკი, ან ფულად ჩვენს ღარიბ სამკითხველოს შემდეგი ადრესით: Черезъ ст. Ланчхуты. Въ селеніе Ацана, для Ацанской народной, безплатной библіотеки.

გრიგორი ურატაძე

*** **ს. ზანავი** (ქართლი). **მრევლის შუამდგომლობა.** დიდი ხანია, რაც სოფ. ზანავში აგებულია წმ. გიორგის ეკკლესია, მაგრამ მცხოვრებლები მაინც ძალიან მოკლებულნი არიან თავის დროზედ წირვა-ლოცვას და შეჰშჩერებიან კარდაკეტილ ეკკლესიას. მიზეზი ამისა ის გახლავთ, რომ მოძღვარი საკმაოდ შორს იმყოფება ამ სოფელზედ. გარდა ამისა ამ სოფლის მრევლი ცხოვრობს გაფანტულ ადგილას და ერთმანეთზედ ძალზედ დაშორებით; ამის გამო რაც გინდ, ეცადოს მოძღვარი, მაინც სოფლის მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებს. ბევრი უზიარებლად და მოუნათლავად იხოცება, რადგან მღვდელი ვერ უსწრებს მომაკვდავს. ყოველივე ამის გამო სოფ. ზანავის მცხოვრებლებმა, სამი სოფლის დახმარებით, აღძრეს შუამდგომლობა იმის შესახებ, რომ მათ დაენიშნოთ საკუთარი მღვდელი, რომელსაც საცხოვრებლად სოფ. ზანავში უნდა ექნეს ბინა, მრევლიც მახლობლად იყოლიოს და ეკკლესიაც კარზე იქონიოს. სულ უნდა ჰყავდეს მრევლად ოთხი სოფელი: ზანავი, რველი, ბანის ხევი და სავანის-ხევა, რომელთა მცხოვრებნი რიცხვით 87 კომლს აღემატებიან. ჯამაგირი ხელმწიფისაგან უნდა ჰქონდეს დანიშნული როგორც სხვა სოფლების მღვდლებს, ხოლო დანარჩენი შესავალი კანონისამებრ ექნება სოფლიდან. როგორც გავიგეთ, ხსენებულ გლეხებს უკვე დაჰპირებიან მათი შუამდგომლობის შეწყნარებას. ამას მით უფრო ვიმედოვნებთ, რომ ბლაღოჩინი მ. დავიდაშვილი ძალიან გულ-მხურვალედ მოეკიდა ამ საქმეს, რითაც საზოგადოებისაგან გულითად მადლობას დაიმსახურებს.

გიგო ზანაველი

*** **სოფ. კონჭკათი** (გურია). **გზებისა და ეკკლესიის ვითარება.** დიდ გასაჭირში ვართ ჩავარდნილნი უგზოობის გამო მთელი კონჭკათის მცხოვრებნი. მხოლოდ ერთი დიდი გზა, რომელიც ოზურგეთიდან შემოდის, ჩვენს კანცელარიამდე მოკენჭულია, სხვა გზები-კი სულ უყურადღებოდ არის მიგდებული. ეს გზები ისეთი ოღრო-ჩოღროა, რომ წვიმიან დღეს მათზე გამვლელმა კარგი ცურაობა უნდა იცოდეს, თორემ ცოცხალი ვერ გადარჩება. თუმცა ეკკლესია მახლობლად გვაქვს, მაგრამ იქ უგზოობის გამო ზამთარში ნახევარი ვერ მიდის. ზოგ გზაზე ერთი არშინის სიმაღლე ტალახი დგება და ზედ გავლა ყოვლად შეუძლებელია.

ზემოხსენებულ გზის მახლობლად იმყოფება წმ. გიორგის ძველი ეკკლესია. სამი წლის წინად ეს ეკკლესია იდგა მოშორებით ერთ მაღალ გორაზე, სადაც თითქმის ვაჟკაცის მეტი ვერვინ ადიოდა. ამას წინად რამდენმამე პირმა იკისრა ამ ეკკლესიის შუა სოფლად ჩამოტანა, რადგან მეტი ეკკლესია ჩვენ არ გვქონდა ახლომახლო. დიდი მადლობის ღირსნი არიან ხსენებული პირნი ასეთი კეთილი საქმისათვის. ამასთანავე მაშინდელი მამასახლისი შეუდგა გაფუჭებულ გზის კეთებას, მაგრამ ახალმა მამასახლისმა უყურადღებოდ დასტოვა ეს გზა და მისი შეკეთება დღესაც დაუსრულებელია.

— **უწესოება უგზოობის გამო.** ამ სოფელში ამას წინად გარდაიცვალა ერთი გლეხი. მიცვალებულის პატივსაცემლად ყველა სოფლელები იყვნენ მიწვეულნი კვირაცხოვლობის დღეს. მიცვალებული უნდა გაესვენებიათ ორ საათზე. მოაწია თუ არა გასვენების დრომ, შეიქნა ერთი ვაი-უშველებელი, მუქარა და ერთმანერთზე მიწევ-მოწევა—არა ამ გზით გავასვენოთ, არა იმ გზითო. ამ უსიამოვნების მოთავენი იყვნენ ჩიტირეკია ბიჭები, რომლებსაც მიცვალებულის ოჯახთან მტრობა ჰქონდათ გზების თაობაზე.

ვ. ჩიტაიშვილი

შემოწირულობა

ქართული მუზეუმის სასარგებლოდ

ბ-ნო რედაქტორო! გთხოვთ მიიღოთ ქ. ოდესაში გარდმოხვეწილ ქართველ მუშათაგან ეს მცირე წვლილი პატივსაცემლად სახელოვანი მეფის ირაკლი II-სა და გარდასცეთ იგი საქართველოს განზრახული მუზეუმის თანხას. ამასთანავე გახლებთ შემომწირველთა სიას, რომელსაც უმორჩილესად გთხოვთ მისცეთ ადგილი თქვენს პატივცემულს გაზეთში

ათ-ათი შაური: ნ. ლეჟავა, ქიმვარდი ნიკოლაიშვილი, დიმ. ნიკოლაიშვილი, მოსე ნ., და ქართველი მუშა; ორ-ორი აბაზი: ვინმე მუშა დ. გ. ტუსკია; ექვს-ექვსი შაური: ცივციაძე, ვ. ლომიძე, ნ. გუგულავა, მ. ჩიხლაძე, ა. კუხალაიშვილი, ფარნაოზ სულაბერიძე, მ. ჭელიძე, და ხარ. ანი; ხუთ-ხუთი შაური: მ. იმნაშვილი, გ. ჭავჭანიძე, ერთი გლეხთაგანი, და ინი; თითო აბაზი: გ. ქორქაშვილი, კოს. ჩიხაძე, ი. ტებლაძე, ჯ. მუჯაბიძე, კაპიტოლ ინწკირველი, ი. ლეჟავა, გ. მჭედლოვი, ვ. ცაგიტინიძე, ნ. ნორაკია, ა. ხურცილავა, ი. ჭავჭანიძე, მიკირტიჩ აკოფოვი, გ. გაბუნია. მ. ცქვიტინიძე, გ. ჭანჭურია, ხ. ცაგიტინიძე, ჯ. ჯანგლიძე, დ. ჩხენკელი, ბაგ. ასათიანი, თ. ხარჯველაძე, არ. ჩხაიძე, პ. თუმანოვი, ფარცხალაძე, მ. ჭორბელაძე, ვ. ჩხარტიშვილი, ი. კუხალაიშვილი, პ. ქიქოძე, ერთი მუშათაგანი, გ. ჯანელიძე, მ. ჯანელიძე, ი. ბუშითაშვილი, ი. სიამთიშვილი, მ. ჯავლიშვილი, ი, ჭავჭანიძე, ვ. სიხაძე, ა. ბზეკალავა, ე. მელქაძე, ი. მეგვარჯალაძე, პ. უსაევ; ორ-ორი შაური: დარისპან გულეიშვილი, დ. გულეიშვილი, ს. ჩიხლაძე, და ე. უწულაია; თითო შაური; ს. ნატარეიშვილი და დროებით ოდესელი. სულ ოდესელ ქართველ მუშებისაგან 15 მან. *).

ულრმესი პატივისცემით მუშა მოსე
ნ—შვილი

◆◆

ქიზიყის დეპოს კრება

3 მაისს შეიკრიბნენ ქვემო-მაჩხაანში ქიზიყის მომხმარებელ საზოგადოების დეპოს წევრნი დეპოსავე დარბაზში. ბევრნი, როგორც გაზეთებიდამაც ვიცით, წინააღმდეგნი იყვნენ კრების ივლისამდე მოხდენისა, მაგრამ ამის შესახებ სამართლიანს პასუხს ბ-ნ „მე გახლავარ“-ის წერილში („ივერია № 91) ამოიკითხავდნენ და საჭიროდ აღარ მიგვაჩნია განმარტება. კრებამ ხუთი განსახილველი საგანი გადადვა მომავალს ივლისის დამლევამდის წევრთა სიმცირის გამო და მხოლოდ წლიური ანგარიშის დამტკიცება (თანახმად წესდებისა) ისურვა, რომ მიეღოთ მთხოვნელთ მოგება (დივიდენდი), მაგრამ რუსები რომ იტყვიან ხოლმე, სწორედ ისეთი წაღმართი საქმის დამცერავი „ნედორაზუმენიე“ გამოგვიხოხორიკდა. დეპოს წლიური ბალანსის აქტივში, სხვათა შორის, შეტანილია დეპოს შენობის აშენებაზედ სხვა და სხვა დროს დეპოს თანხიდგან დახარჯული (გარ და კერძო კაცების საკუთრებისა) 2,390 მან. და 27 კაპ., როგორც დეპოს ქონება, რომელსაც შენობის ამშენებელნი და სხვა მისი მსურველნი სყიდვისა ყოველთვის ჩაიბარებენ დეპოს კასსას ნაღდ ფულად, თუ საზოგადოება არ ისურვებს შენობის შესყიდვას (ამისათვის კომისიაა დანიშნული), მაშასადამე, თქმა აღარ უნდა, რომ ვიდრე საზოგადოება ან კერძო პირნი შეისყიდიან შენობას, მანამდისინ დეპოს შენობაზედ დახარჯული ზემოხსენებული ფული უნდა იხსენიებოდეს დეპოს ყოველ წლიურს ბალანსის აქტივში, როგორც უკვდავი ქონება დეპოსი, რომელსაც სხვა მრავალ სიკეთესთან ერთად ყოველ წელიწადს სარგებელი მოაქვს დეპოს წევრთათვის იმ მხრით, რომ დეპო ქირას აღარ იხდის თავისაგან დახარჯულ ფულის ხვედრს ნაწილში. დეპოს გამგეობისაგან დეპოსავე დავთრების შესამოწმებლად მოწვეულმა ბ-ნმა მალალაშვილმა (ბუხღალტერია სიღნაღის ხაზინისა) მოახსენა დეპოს კრებას, რომ დეპოს კასსიდამ დახარჯული შენობის ასაშენებლად ფული დეპოს ქონების აქტივში არ უნდა იყოს მოხსენებულიო და რა მიზეზით არ უნდა იყოს, ეს კი ვერ დაუმტკიცა ვერაფრით ვერც გამგეობის წევრებს და ვერც კრებას.

აგრეთვე ბ-მა მალალაშვილმა შემდეგი შეცდომაც დაინიჟა: არც დეპოს ინვენტარი (ავეჯეულობა) უნდა იყოს მოხსენებული დეპოს ქონებაშიო, სადივიდენდო მოგებიდამ უნდა გამოგერიცხნათ და ძირის თანხად უნდა შეგერიცხნათო. დეპოს გამგეობას ამასაც ფაქტიკურად უმტკიცებდა, რომ თანახმად წესდებისა გამგეობას არავითარი უფლება არა აქვს ჩვენდა თავად, საზოგადოების ნებადაურთველად წევრებს ხვედრი დივიდენდი დავაკლოთ და მის წყალობით ინვენტარი ძირის თანხად შევრიცხოთო. ჩვენ დარწმუნებული ვართ, ბ-ნ მალალაშვილისაგან ისეთი ორჯერ ორივით ოთხის გახუთების ამაო სურვილი მხოლოდ იმან გამოიწვია, რომ მოუფიქრებლად ნათქვამი შეცდომა ველარ ჩათქვა ცრუ-თავმოყვარეობის გამო.

ზემოხსენებული კითხვების განხილვა და წლიური ანგარი'შის დამტკიცებაც ივლისის დამლევისათვის გადიდვა, რამაც მისცათ ცოტა დროებით საჭორიკანო სალეჭი მასალა ზოგიერთ ჭორის გუდებს.

ბოლოს დეპოს გამგეობის თავმჯდომარემ მრავალის მაგალითების მოყვანით მოახსენა საზოგადოებას თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს საზოგადო ამხანაგობათა საქართველო ყველა დაბა-სოფლებში დაბადებას და იმათ გაძლიერებას, დაასახელა აგრეთვე ბევრ გვარი ღონისძიება მგზავსი ამხანაგობის თანხა-წევრების გასამრავლებლად და სთხოვა კრებას ნაჩვენების გზით გამგეობისათვის დახმარების აღმოჩენა თანხა-წევრების გამრავლებაში, რიც კრებამ ერთხმად მიიღო და აღუთქვა გამგეობას დახმარება.

დასასრულ დეპოს გამგეობამ მოახსენა კრებას: „მეოთხე წელიწადია, რაც საზოგადო საქმის სიკეთისათვის მოვაკელით მზრუნველობა ჩვენს მამულ-დედულებს და უჯამაგიროდ, დივიდენდიდგან მცირედ ნარგებ ჯილდოზედ ვემსახურებით გამუდმებით ქიზიყის დეპოს; ჩვენ ამით სიმართლის თქმა გვინდა და არა მუნათის გამოცხადება საზოგადოების მიმართ, და, ვგონებთ, ვერც დეპოს საზოგადოება გვისაყვედურებს, რომ ამ სამს წელიწადში თქვენის უმეცადინობით მავან დროს ზარალი გვიჩვენეთო. ეხლა ამასა გთხოვთ, მომავალი კრებისთვის მაინც ჩვენს ბადლათ სხვანი გაითვალისწუნოთ. თუ უკანასკნელი ანგარიშიდან ზარალი აღმოჩნდა რამ, ჩვენი საკუთარი შეძლებ-ქონებიდან მიიღეთ საქმის დასაწყისიდგან ჩვენგანვე დადებულ პირობისამებრ და გაგვანთავისუფლეთ ყველა შესრულებულ ფეხზედ დაყენებულ საქმიდგანაო“. კრებამ იუარა გამგეობის თხოვნა, მაგრამ გამგეობამ გადაჭრილი უარი გამოაცხადა ხელ-მეორედ არჩევაზე.

ქართლ-კახელი

◆◆

სამკურნალო დარიგება

კბილის ტკივილისათვის. (გამოცდილი საშუალება). კბილის ტკივილი სხვარნაირია, მხოლოდ მეტ შემთხვევაში კი ტკივილის მიზეზი გამოხრული კბილია ხოლმე. საზოგადოდ შემჩნეულია, რომ კბილის ტკივილს იწვევს გაცივება და ხშირად კი, მარტო ჰაერი ხვდება გამოხრულ კბილის სიღრმეს და საშინელ ტკივილს იწვევს. ამ დროს ერთად-ერთი საშუალება შემდეგია: აიღეთ ნელთბილი წყალი და ჩოთქით კბილი გამოირეცხეთ, შემდეგ ჩაიდებთ პირში რამოდენიმე ნატეხს კევს (კევი საცოხნელი მასტიკა, ბერძნულად მასტიკა). კევი რამდენიმეჯერ პირში დაბრუნებითა და კბილების შეხებით დარბილდება, ცომივით გახდება. ეხლა ენის საშუალებით ამ დარბილებულ კევს მიიტანთ მტკივან გამოხრულ კბილთან, მოამწყვდევთ კბილსა და კბილს შუა და იმდენს ეცდებით, რომ ამოხრულ ადგილს სრულიად ამოამსებთ. კევი დახშავს ჰაერის მოძრაობას და უეჭველად ტკივილი შეწყნარდება. შეგიძლიათ ორ დღეში ერთხელ გამოცვალოთ ეს ასე. კევს ისეთი თვისება აქვს, რომ ის არ დადნება, განაგრძეთ გინდ მუდამ.

ირ

◆●◆

სხვა-და-სხვა-ამბავი

მაკ-კინლეის ცხოვრებიდან (შეერთებული შტატების პრეზიდენტი). მაკ-კინლეის მამა მჭედელი იყო, რომელსაც შემოსავალი ძალიან ცოტა ჰქონდა, ოჯახი კი ძალიან დიდი. მაკ-კინლეის დედა ხელს უწყობდა თავის ოჯახს იმით, რომ აქირავებდა ოთახებს და სადილს უმზადებდა რამდენსამე მუშტარს. ამის მეოხებით მათთვის მოსახერხებელი შეიქნა შვილები გვარიანად აღეზარდათ.

ახალგაზდა ვილიამ მონაწილეობას იღებდა სამოქალაქო ომში. პირველსავე შეტაკებაში მან ისეთი გულგრილობა და არა ჩვეულებრივი ვაჟკაცობა გამოიჩინა, რომ მას მაშინვე სერჟანტობა მისცეს. ეს გულ-გრილობა გამოადგა მას ბოლო დროსაც, როცა პრეზიდენტის არჩევნები ხდებოდა. იმ დროს როცა იგი სიტყვას ამბობდა, ერთმა, მისმა მოწინააღმდეგემ მას დამბაჩა ესროლა და ტყვიით ქუდი გაუხვრიტა. ბოროტ განმზრახველი მაშინვე შეიპყრეს, მაკ-კინლეიმ-კი მხოლოდ გაკვირვებით დაჰხედა თავის ქუდის ნახვრეტს, გაიქნია თავი და შემდეგ ისევ თავისი სიტყვა განაგრძო, თითქო აქ არაფერიაო.

სამოქალაქო ომის გათავების შემდეგ, ახალგაზდა ვილიამი იძულებული იყო მოეძებნა უფრო შემოსავლიანი ადგილი, ამიტომ მან გაიხადა მუნდირი და დაიწყო ვექილობა. პირველი საქმის წარმოება მას ასეთ პირებში შეხვდა“. თავ და პირველად ადვოკატის კანტორაში მსახურებდა.

— „მაკ-კინლეი“, უთხრა ერთხელ მას მისმა უფროსმა,—მე ხვალ სხვაგან უნდა წავიდე, თქვენ შეგიძლიათ ჩემი მაგივრობა გასწიოთ სასამართლოში. გსურთ, თუ არა?

— „ვაი თუ ვერ მოვახერხო? მე არც კი ვიცი, რაში მდგომარეობს საქმე“.

— არა უშავს რა, მოახერხებთ. აჰა აქტები და ისე იმოქმედეთ, როგორც იცით.

მთელი ღამე მაკ-კინლეიმ აქტების განხილვას მოანდომა. მეორე დღეს მიიღო ვანა, ისაუზმა და ათ საათზე სასამართლოს დარბაზში იყო. საქმე უფრო არეული იყო, ვიდრე მას ეგონა. მაგრამ მაკ-კინლეიმ წარმოსთქვა საუცხოვო სიტყვა. იმ დროს, როცა ის ლაპარაკობდა, დაინახა საზოგადოებაში—და ვინ დაინახა?—თავისი უფროსი, რომელსაც მხოლოდ ის უნდოდა გაეგო, თუ მისი ახალგაზდა მეგობარი როგორ წაიყვანდა საქმეს. მაკ-კინლეიმ სამაგალითოდ შეასრულა თავისი მიზანი და მოიგო საქმე.

რამდენიმე ხნის შემდეგ მაკ-კინლეიმ ცოლი შეირთო. ეს მოხდა ამ გვარად, მაკ-კინლეის ხშირად ჰხვდებოდა ერთ ბანკში ყოფნა. ბანკირის ქალი, ძალიან ენერგიანი ახალგაზდა ქალიშვილი, ასრულებდა მამასთან ხაზინადარის თანამდებობას. მაკ-კინლეის შეუყვარდა ლამაზი ხაზინადარი; ქალსაც მოეწონა ყმაწვილი, თუმცა მანამდე მათ შორის მხოლოდ საქმის შესახებ გამართულა ლაპარაკი.

ერთხელ მაკ-კინლეიმ უთხრა მას

---

*) ეს ფული გარდაეცა ქართ. შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მდივანს ბ-ნ კარიჭაშვილს. რედ.

ჩეკის მიცემის დროს: „მე დღეს ხელი უნდა გთხოვოთ თქვენ“.

ქალიშვილი სრულიადაც არ შეშფოთებულა, დაუთვალა მას ფული და შემდეგ უთხრა: „კარგი, მე თანახმა ვარ თქვენი ცოლი შევიქნეო“. ეს იყო და ეს.

საღამოზე მაკ-გინლეი მოიკაზმა და გაემართა ბანკირთან და უთხრა: „თქვენმა ქალიშვილმა და მე ერთმანერთი შევიყვარეთ. იმედია, თქვენ წინააღმდეგი არ იქნებით და მე გთხოვთ მოსძებნოთ სხვა ხაზინადარი.

— „ერი-ჰა! შესძახა ბანკირმა—პირიქით მე ძალიან წინააღმდეგიცა ვარ მაგისა და არას დროს არ დავთანხმდები, რომ შენისთანა კაცს მივცე ჩემი ქალი“.

— არ დათანხმდებით?—უთხრა მაკ-კინლეიმ, ჰო-და, მაგ შემთხვევაში იქვენდა დაუთანხმებლად შევირთავ მას. თქვენ კარგად იცით თქვენი ქალის ხასიათი, მე-კი სწორედ მისთანა ხასიათის პატრონი ვარ, გარწმუნებთ“.

იმოქმედა თუ არა ბანკირზე ამ სიტყვებმა, რა მოგახსენოთ; მხოლოდ ბოლოს და ბოლოს ისიც დათანხმდა და მალე თავისი ქალის ქორწილი გადაიხადა.

* * *

წვრილი ამბავი

ველური მცხოვრებნი და მეცნიერთა ექსპედიცია. ინგლისელებმა გაგზავნეს მეცნიერები წყნარი ოკეანის კუნძულებზე თვალ-ყური ედევნებინათ მზის დაბნელებისათვის. იქ მცხოვრებმა ეს ექსპედიცია მეგობრულად არ მიიღეს და თემის წინამძღოლმა უთხრა მეცნიერებს: „ჩვენ კარგად ვიცით, რისთვისაც მოხველით თქვენ აქა. თქვენ გსურთ მოგვპაროთ ჩვენი მზე, თქვენს მეფეს წაუღოთ, რომელსაც მზე არა აქვს“. „პირიქაო“,—უპასუხეს მოსწრებით მეცნიერებმა,—„ჩვენ, სწორედ ამისთვის მოვედით თქვენთან, რომ მზე გაგიწმინდოთ, და წინანდებურად ანათებდეს, რადგანაც, ჩვენ შევიტყეთ, რომ ის ხვალ ლაქებით დაიფარება“. როცა მზის დაბნელებამ განვლო, მადლიერმა ველურებმა ლხინი გამართეს ევროპიელების პატივ-საცემლად.

* * *

დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

5 მაისი

ბერლინი. „Post“-ი ამბობს, რომ ჩემბერლენის სიტყვამ ძლიერი შთაბეჭდილება გამოიწვია ძალიან შორს ინგლისის საზღვარ-გარეთაც. საფრანგეთის გაზეთებში ჩემბერლენს წაქეზებას უკიჟინებენ. გერმანიის ზოგიერთ გაზეთებშიაც მას ცუდად იხსენიებენ, რადგან გერმანიის მრავალი, საახალშენო პოლიტიკით გამოწვეული უკმაყოფილება ინგლისის წინააღმდეგ უმთავრესად მისი წინააღმდეგობის ნაყოფად ითვლება. „National Zeitung“-ი დასცინის New Iork Times“-ის დასკვნას გერმანიის შესახებ. „გერმანია, რომელსაც, ამბობს გაზეთი, სურს ყველასთან მშვიდობიანად იცხოვროს, სანამ მისი ინტერესები დაირღვეოდეს, რასაკვირველია, არ შეუერთდება გვარტომური ერთობის გამო ფანტასტიურ ინგლის-საქსონიის კავშირს. ან-კი ერთი კვირის შემდეგ ჩემბერლენის სიტყვის შესახებ აღარავინ ხმას არ გამოიღებსო“. „Koss. Zeti.“-ს ეეჭვება, რომ ინგლისი ვისმესთან კავშირის დაჭერას შეიძლებს და ჰკითხულობს: სად ნახავს ინგლისი მოკავშირეთ? რასაკვირველია საფრანგეთში არა; ავსტრიას, როგორც გოლუხოვსკიმ განმარტა, აღმოსავლეთის კითხვების შესახებ მჭიდრო კავშირი აქვს რუსეთთან; გერმანიას არავითარი საფუძველი არ აქვს რუსეთთან განხეთქილება იქონიოს მისი აღმოსავლეთ აზრაში მოქმედების გამო; იტალიას საკუთარი საქმეებიც საკმარისად აქვს. შეერთებული შტატები სერიოზულად ჩაფიქრდებიან ისეთი კავშირის შეკვრას, რომელიც მისგან ათას წილად უფრო ბევრ მსხვერპლს მოითხოვს, ვიდრე მათ შეუძლიათ აიტანონ.

6 მაისი.

პეკინი. პრინცი ჰენრიხ პრუსიისა სადარბაზოდ იყო ქვრივ იმპერატრიცასთან და იმპერატორთან. იმპერატრიცამ მრავალი კითხვით მიმართა პრინცს; შემდეგ იმპერატორმა მიიღო პრინცი, მხლებლებით საუდიენციო დარბაზში; იმპერატორმა პრინცს ხელზე ხელი მოუჭირა; იმპერატორის ნახვის შემდეგ პრინცმა დაათვალიერა ქალაქის ღირსშესანიშნავი ადგილები და დაბრუნდა დიდ საუდიენციო დარბაზში, სადაც იმპერატორი ეწვია პრინცს და გადასცა საჩუქრები. შემდეგ პრინცი იმპერატორთან ერთად, თარჯიმანის თანახლებით, გადვიდა მახლობელ სადგომში, სადაც დიდხანს ისაუბრეს.

ვენა. „Neue Ereie Presse“ ზღაპარს უწოდებს „Erankfurter Zeitung“-ის ამბავს შესახებ რუსეთ-ავსტრიის ხელშეკრულებისა. ეს შეეხება როგორც ფრანკფურტის გაზეთის ცნობის შესახებ ხელშეკრულობის დასკვნისა, ფორმისა და ვადისა, ისე მის-მიერ გადმოცემულ ტექსტს.

ბერლინი. „National Zeitung“ ამბობს: „Frankfurter Zeitung“-ის მიერ გამოქვეყნებულ რუსეთ-ავსტრიის ხელ-შეკრულობის სიცრუის დარღვევას უნდა დავძინოთ, რომ აქ, გერმანიის ხელ-მძღვანელ წრეებში არავის არ ეეჭვება გრაფ გოლუხოვსკის ერთგულება სამთა კავშირისადმი“.

მადრიდი. ზღვის მთავრობამ ბარცელონაში ბრძანება მიიღო: არ მისცეთ გასვლის ნება დიდსა და სწრაფ სავაჭრო გემებს, რადგან განზრახულია მათი შეიარაღება დასახმარებელ კრეისერებივითაო.

ვაშინგტონი. სამპსონმა აცნობა ზღვის სამინისტროს: მე გადავწყვიტე წავიდე სამხრეთისაკენ და დავაყენო იქ გემები, რომ დავხურო შესავალი სანტ-იაგოსა და სიენფუეგოსში, ხელი შევუშალო სურსათის გადაზიდვას გავანის გარნიზონისათვის და იმავე დროს გავალონიერო სამხრეთის სუსტი ალყის შემოსარტყმელი ესკადრაო.

ბუდაპეშტი. ვენგრიის გარეშე საქმეთა დელეგაციის კომისიის სხდომაზე მომხსენებელმა ფალკმა მიჰმართა გრაფ კოლუხოვსკის კითხვით: „Frankfurter Zeitung“-მა გუშინდელ ნომერში დაწვრილებით გვაცნობა ხელშეკრულობა, რომელიც თითქო ავსტრი-ვენგრიასა და რუსეთ შორის მომხდარა. ყველა დამშვიდდება, რომ მინისტრი ამ განცხადების შესახებ გამოსთქვამდეს აზრს: მართალია იგი, თუ არა? გოლუხოვსკიმ უპასუხა: „მე ამ კითხვაზე შემიძლია გიპასუხოთ მოკლედ და ნათლად: „Frankjurter Zeitung“-ის განცხადება მტკნარი სიცრუეა.

7 მაისი.

ლონდონი. პალატა. კემბერლეი ეკითხება მთავრობას ვეი-ხაი-ვეის შესახებ და არჩევს ჩემბერლენის მიერ წარმოთქმულ სიტყვას. სალისბერი ჩემბერლენის სიტყვის გამო არას ამბობს, ხოლო ჩინეთის შესახებ იმას ამბობს, რომ ჯერ ჩინეთი თვისი 400 მილიონი მცხოვრებით ისე როდია დაძაბუნებული, რომ ვეი-ხაი-ვეის წართმევამ გაანადგუროსო. ინგლისი ცდილობს ჩინეთს სიმხნევე და გამბედაობა შთაბეროსო, ამისათვის ინგლისი ეცდება სხვა და სხვა რეფორმები შემოიღოს ჩინეთშიო.

მადრიდი. ახალი სამინისტრო შესდგა: სეგასტა პრეზიდენტია, ლეონ კასტილიო გარეშე საქმეთა მინისტრი, გროიზარდი იუსტიციისა, კორრეა-სამხედრო, აუნონ ზღვაოსნობისა, პუშსერვერი-ფინანსისა, რომერ-გირონი კოლონიებისა. სეგასტამ სია წარუდგინა დედოფალს.

ბელგრადი. რადიკალების მეთაური პაშიჩი, რომელსაც ბრალდებოდა ხელმწიფის შეურაცხყოფა, სასამართლომ გაამართლა.

განცხადებანი

გამოვიდა დ҃ ისყიდება
„ცნ. ფურც.“-ს გამოცემა № 2

თავ.
ილ. ჭავჭავაძე
(წერილი ხალხისათვის)
ნადიკვრელისა

ფასი 2 კაპ.

ასი ცალი იყიდება 1 მ. 30 კ.
ორასი — — 2 მ. 20 კ.
სამასი — — 3 მ.

მსურველნი მიჰმართავენ „ცნობის ფურცლის“ რედაქციას.

ახალგაზრდა
ქართველი ქალი
კურს დამთავრებული

საშუალო სასწავლებელში დაჯილდოვებული მეცადინეობისათვის, ეძებს ყმაწვილებს მოსამზადებლად პირველ დასაწყისი სასწავლებლებისთვის. თანხმაა სახლებშიაც იაროს.

მსურველთ იკითხონ: ვოზნესენსკის ქუჩაზე, სახლი № 25.

(6—6)

საზღვევი საზოგადოება
„იაკორი“
უმაღლესად დამტკიცებული 1872 წელს მოსკოვში

ტფილისის უმთავრესი სააგენტო
ღებულობს
დაზღვევას ცეცხლისაგან
ყოველ-გვარ უძრავ და მოძრავ ქონებისას.
დაზღვევას სიცოცხლისა და თანხებისა
შეღავათიანის პირობებით, მაგალითად შეღავათი იმ შემთხვევაში, როცა დაზღვეულს შრომა არ შეუძლიან და აგრეთვე დაზღვეულს სარგებლობა ეძლევა საზოგადოების მოგებიდან
დაზღვევა უბედურ შემთხვევისაგან
მიიღებიან საერთოდ დაზღვევა მუშებისა, ქარხნებსა და სახელოსნოებში, აგრეთვე დაზღვევა კერძო პირებისას
დაზღვევა გაგზავნილ საქონლებისა
ზღვაზედ, მდინარეებზედ თუ ხმელეთზედ, აგრეთვე დაზღვევა გემებისა.

მოთხოვნებით და ყოველ-გვარ ცნობათა შესატყობად დაზღვევაზე შეიძლება იჰმართონ ტფილისის კონტორაში უმთავრესს აგენტს ალექსანდრე გრიგოლის-ძეს სერგეევს, ერევნის მოედნის ყურში თავ. ციციშვილის სახლებში № 2. და აგრეთვე მოსკოვში საზოგადოების გამგეობაში.

Страховое Общество „ЯКОРЬ“
Высочайше увержденное въ 1872 г. въ Москвѣ

Принимаетъ: 1) Страхованіе отъ огня, 2) страхованіе жизни и капиталовъ, 3) страхованіе отъ несчастныхъ случаевъ и 4) страхованіе транспортовъ.

Контора Тифлисскаго Главнаго Агента Александра Григорьевича Сергѣева
на углу Эриванской пл. д. кн. Цицінова № 2. (50—15)

КУРСЪ БУХГАЛТЕРІИ,
состоящій изъ слѣдующихъ предметовъ:

1) **Бухгальтеріи** двойной итальянской по разнымъ отраслямъ торговой промышленности,
2) **Коммерческой ариѳметики** (банковыя и торговыя операціи),
3) **Ариѳметики на счетахъ.**
4) **Коммерческой экономіи,**
5) **Торговыхъ и вексельныхъ** узаконеній—

преподаетъ **И. Я. БРОНЪ ФОНЪ-БРЕННЕРЪ, гл. бухгалтеръ общ. взаимн. сел.-хоз. кредита и препод. школы садоводства.**

Плата за весь курсъ 60 руб.

Курсъ 3-мѣсячный, при ежедневныхъ занятіяхъ въ теченіе 2-хъ часовъ, по вечерамъ. Начало занятій — 1-е число каждаго мѣсяца.

Аттестаты за успѣшныя занятія отъ реальнаго училища и школы садоводства.

Составленная И. Я. Бронъ фонъ-Бреннеръ книга «Коммерческая ариѳметика» содержитъ въ себѣ VII отдѣловъ: 1) ариѳметич. вычисленія на счетахъ, 2) монетныя вычисленія, 3) товарныя сдѣлки, 4) вексельныя операціи, 5) торговыя товарищества, 6) банки и ихъ операціи, 7) биржевыя операціи (520 задачъ и таблицы). Цѣна 2 руб. **Продается во всѣхъ книжныхъ магазинахъ и у автора: Михайловская ул., д. № 71, и Барятинская, сельско-хоз. банкъ.**

(100—3)

ОТКРЫТА ПОДПИСКА
на
новое роскошное художественное
изданіе **Ѳ. И. БУЛГАКОВА**

ВЕНЕРА и АПОЛЛОНЪ
въ живописи и скульптурѣ.
(Два исконныхъ идеала красаты женской и мужской).
40 фотофравюръ in-folio

Съ наилучшихъ произведеній 35 знаменитѣйшихъ художниковъ идеальныхъ школъ греческаго искусства и эпохи возрожденія, изъ европейскихъ музеевъ.

Съ пояснительными описаніями произведеній и біографіями ихъ авторовъ
въ восьми выпускахъ.

Первый выпускъ выйдетъ 15 мая 1898 г., а остальные семь въ теченіе четырехъ слѣдующихъ мѣсяцевъ по два выпуска ежемѣсячно — 1-го и 15 числа.

Цѣна только по подпискѣ 16 р., съ пересылкой — 20 р.

Подписка принимается только на 300 экземпляровъ во редакціи «Новаго журнала Иностранной Литературы» (С.-Петербургъ, Конногвардейскій бульваръ; 13) и въ книжномъ магазинѣ «Новаго Времени», (С.-Петербургъ, Невскій, 38.

Допускается разсрочка: при подпискѣ уплачивается 2 р. и при полученіи каждаго выпуска по 2 р. (послѣдній — 8-й — выпускъ безплатно). Иногородніе уплачивая при подпискѣ 5 р. и при полученіи каждаго изъ первыхъ шести выпусковъ по 2 р. 50 к. и по 10 к. за наложенный платежъ (седьмой и восьмой выпуски безплатно); — благоволятъ адресоваться къ **Ф. И. Булгакову** (СПБ. Конногвардейскій бульваръ, 13).

Отдѣльно выпуски не продаются. (15—10)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 6-го Мая 1898 г. სტამბა „ცნობის ფურცლისა“ (ვ. გუნიასი) სას. ქ. სათ.-აზ. ქარვ. რედაქტორ-გამომცემელი ვალ. გუნია